


**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

მოსამართლეობის კანდიდატის ----- *ამირან ძაბუნაძის* შეფასების შედეგი:

<b>მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</b>		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
<b>მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</b>		
<b>კრიტერიუმი</b>	<b>მიღებული ქულა</b>	<b>მაქსიმალური ქულა</b>
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	3	5
<b>ქულათა ჯამი</b>	<b>94</b>	<b>100</b>

სახელი, გვარი:  
თარიღი:

29.11.21.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი პაატა სილაგაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე  
კანდიდატის, ამირან ძაბუნაძის, შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ამირან ძაბუნაძის, შეფასების დასაბუთების შედეგის პროცესში ვიხელმძღვანელებ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

ა. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით;

მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, რადგან ამირან ძაბუნაძე არის კორექტული, თავშეკავებული და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. მას შესწევს უნარი კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდოს სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა მოვალეობათა შესრულებას. (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება და სატრანსპორტო საშუალების მართვის დარღვევათა არ ქონა). აღსანიშნავია, რომ რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების მოსაზრებით ამირან ძაბუნაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

ბ. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით;

სამართლის ნორმათა ცოდნის თვალსაზრისით, ამირან ძაბუნაძე სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, რაც გამოვლინდა საჯარო მოსმენისას. გასაუბრებისას, მისთვის დასმულ კითხვებზე გასცა პასუხები, რასაც ასაბუთებდა სამართლის ნორმათა მოშველიებით. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით 03.10.09 წელს. შესაბამისად, მოცემული კრიტერიუმით, ა. ძაბუნაძე, ჩემს მიერ შეფასდა 18 (თვრამეტი) ქულით.

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის თვალსაზრისით, კანდიდატი ჩემს მიერ შეფასდა 20 (ოცი) ქულით, რამეთუ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის (10 წელზე მეტი) გამოცდილება. იგი ასევე გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარით.

კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას, ჩემს მიერ იგი შეფასდა ასევე 20 (ოცი) ქულით, რადგან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლისას, მივედი დასკვნამდე, რომ მას შესწევს სათანადო წერის უნარი. კანდიდატი კარგად განმარტავს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. მასში ზედმიწევნით არის განხილული ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები. საყურადღებოა ტექსტის გამართული აგებულება და მკითხველისათვის ადვილად აღქმადობა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარით კანდიდატის შეფასებისას, იგი შევაფასე 14 ქულით, რადგან მას აქვს ნორმალური, მაგრამ დაბალი ტონალობის მეტყველების უნარი და იგი გამოირჩევა სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის კულტურით. საჯარო მოსმენისას ა. ძაბუნაძე ახერხებდა საკუთარი შეხედულებების ღიად, ნათლად და გასაგები ენით გადმოცემას.

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო სხდომის დარბაზში ქცევის კრიტერიუმით შეფასებისას მივედი დასკვნამდე, რომ ამირან ძაბუნძიძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით. აგრეთვე ფლობს საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილებათა მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს. მაღალია მის მიერ განხილულ საქმეთა გასაჩივრებისას უცვლელად დატოვების პროცენტული მაჩვენებელი - უცვლელი - 89,8%; შეცვლილი - 10,2% ასევე გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის თვალსაზრისით, ვადის დაცვით - 52,6%; ვადის დარღვევით - 47,4%. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით კანდიდატმა მიიღო შეფასება 14 ქულის ოდენობით.

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნისას მხედველობაში იქნა მიღებული კანდიდატის მიერ ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის მიზნით, ტრენინგებში მიღებული მონაწილეობის მაჩვენებელი კერძოდ - „ბავშვის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოებაში - ბორჯომი, - სემინარი; სასწავლო ვიზიტი - (აშშ ქ. ვაშინგტონი და ქ. სან-ფრანცისკო); „საკორპორაციო/სამეწარმეო სამართალი“ - ბორჯომი, სემინარი; „ინტელექტუალური საკუთრების სამართლის აქტუალური საკითხები“ - ბათუმი, სემინარი; „საკორპორაციო/სამეწარმეო სამართალი - თბილისი, სემინარი; „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი“- ლოპოტა, სემინარი; „საარბიტრაჟო წარმოება“- ბორჯომი, სემინარი; „გადაწყვეტილებები ინტელექტუალური საკუთრების დარღვევასთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეებზე“ - ქობულეთი, სემინარი; „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ - თბილისი, სემინარი; „ნარკომომხმარებელთა უფლებები“ - ლოპოტა, სემინარი; „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა“ - წყალტუბო, სემინარი; „რელიგიის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლება; საკუთრების უფლება“ - თბილისი, სემინარი; „პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება; დისკრიმინაციის აკრძალვა“ - ქ. წყალტუბო, სემინარი; „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ - კაჭრეთი, სემინარი; „მოსამართლეთა სემინარები სასამართლოს დამოუკიდებლობის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“ - (სლოვაკეთის რესპუბლიკა, ბრატისლავა), სამუშაო შეხვედრა; „ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვის პრობლემატური საკითხები“ - წყალტუბო, სემინარი; - გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოსამართლეთა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრა - ქობულეთი; „კომუნიკაციისა და მეტყველების სტანდარტები მოსამართლეთათვის“ - თბილისი, სემინარი; „საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით“ - ქობულეთი, სემინარი; „საჯარო ინფორმაციის საკითხებზე“ - ბათუმი, სემინარი; „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და გადაწყვეტილების წერის კულტურა/დასაბუთება“ - თბილისი, სემინარი და სხვა. შესაბამისად კანდიდატმა ამ კრიტერიუმით შეფასებისას მიიღო 5 (ხუთი) ქულა.

რაც შეეხება პროფესიულ აქტივობას, შესაძლებელია ითქვას, რომ ამირან ძაბუნძიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებებში, თუმცა იგი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით. შესაბამისად ამ კრიტერიუმით შეფასებისას მან დაიმსახურა 3 (სამი) ქულა.

ამდენად, მოსამართლეობის კანდიდატმა, ამირან ძაბუნძიძემ, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასებისას საერთო ჯამში მიიღო 94 ქულა 100 ქულიდან.

დასაბუთება



უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ამირან ძაბუნაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მოცემულ დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; აგრეთვე ფინანსური ვალდებულებები.

ყურადსაღებია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ამირან ძაბუნაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რომლის გამოთხოვაც მოხდა სხვადასხვა უწყებიდან, რომელნიც ფლობდნენ ინფორმაციას კანდიდატის შესახებ. კერძოდ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებულ ინფორმაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ მიღებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებულ ცნობას შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან მოწოდებულ დეკლარაციას ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაციას დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ამირან ძაბუნაძის მახასიათებლის მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფ პირთაგან შეესებულ სპეციალური ფორმის რეკომენდაციებსა და კითხვარებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ამირან ძაბუნაძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ საჯარო მოსმენისას გამოვლენილი თვისებები და მახასიათებლები.

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით მისი პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლების თაობაზე შესაძლოა ითქვას, რომ ამირან ძაბუნაძის პირად თვისებებს გამოკითხული რესპოდენტები იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. ამასთან რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებათან დაკავშირებით და გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პრინციპულობას, შრომისმოყვარეობას, კომუნიკაბელურობას, გუნდური მუშაობის უნარს, თავმდაბლობას, სამართლიანობას, გონიერებას, საქმისადმი ერთგულებას, შეუვალობას, მაღალ პასუხისმგებლობას, გამბედაობასა და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში უთითებს, რომ ის „არის ზედმეტად თავმდაბალი“. საჯარო მოსმენისას ამირან ძაბუნაძემ დატოვა თავაზიანი და მოკრძალებული პიროვნების შთაბეჭდილება. კანდიდატი გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს (ფინანსურს და სხვა სახის ვალდებულებებს) ასრულებს პირნათლად. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმები არ აქვს. ეს კი მიუთითებს იმის შესახებ, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული და გააზრებული როგორც პირადი ასევე პროფესიული მოვალეობები.

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის დამახასიათებლად უნდა აღინიშნოს რეკომენდატორების მითითება მის პრინციპულობაზე, შრომისმოყვარეობაზე, კომუნიკაბელურობაზე, გუნდური მუშაობის უნარსა და სამართლიანობაზე. რაც შეეხება ამირან

მაზუნძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და მითუმეტეს შემომწირველი, საჯარო მოსმენისასაც არ დაუფიქსირებია რომელიმე პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიმართ საკუთარი მიუკერძოებლობის საკითხი.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებით კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად იგი იცავს ეთიკის წესებს, კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. საჯარო მოსმენისას ასევე ნათელი გახდა, რომ ა. მაზუნძე არის ზრდილობიანი და თავდაჭერილი თუმცა გასაუბრებისას მის მიერ პასუხების გაცემა ხდებოდა ძალიან დაბალ ტონალობაში (ხმადაბლა) რაც ჩემ მიერ აღქმული იქნა მის მცირედ ემოციურ მღელვარებად. ასევე უნდა მიექცეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა ან სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა არასდროს და თავად სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის თვლსაზრისით ამირან მაზუნძის დამახასიათებელ თვისებებსა და პროფესიულ მიღწევებზე აღნიშნავენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომელნიც მას ახასიათებენ დადებითად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაციის თანახმად, ამირან მაზუნძის მიერ განხილული საქმეების თაობაზე ინტერნეტ სივრცეში გვხვდება ინფორმაცია პაპუაშვილი-ბლადაძისა და მერსედესის ცენტრის შესახებ. მედიას გაშუქებული აქვს მოსამართლეთა კონფერენციაზე ამირან მაზუნძის არჩევა სადისციპლინო კოლეგიის წევრად და იძებნება ადვოკატების ნაწილის შეფასებები მის საქმიანობასთან დაკავშირებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ამირან მაზუნძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სამართლებრივი ხასიათის სემინარში.

ფინანსურ მახასიათებლებთან დაკავშირებით შესაძლოა ითქვას, რომ ამირან მაზუნძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და სახელმწიფოს წინაშე დავალიანება არ აქვს, თუმცა აქვს მიმდინარე სესხები. კანდიდატს საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში (229,02 კვ.მ. – 100%), მიწის ნაკვეთი თბილისში, სოფ. ლისი (400 კვ.მ ), აგრეთვე საცხოვრებელი ბინა ქ. თბილისში (45,3 კვ.მ). მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის და უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. ამდენად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმებისას გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

შესაბამისად, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ რადგან არ გამოკვეთილა გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერებას, მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის თვალსაზრისით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ამირან ძაბუნაძის შეფასებისას მხედველობაში მივიღე ხსენებული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ - სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო სხდომის დარბაზში, აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტსა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

სამართლებრივი ნორმების ცოდნის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ამირან ძაბუნაძის ცოდნა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმათა წრილში. საჯარო მოსმენისას ნათელი გახდა მისი ცოდნა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო სიახლეებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების, აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლისა და ამირან ძაბუნაძესთან საჯარო მოსმენისას (იხ. ა. ძაბუნაძესთან საჯარო მოსმენის სხდომის ვიდეოჩანაწერი) კანდიდატს საბჭოს წევრთა მიერ დაესვა არაერთი სამართლებრივი თუ ზოგადი ხასიათის შეკითხვა საიდანაც ირკვევა, რომ იგი არის კორექტული და თავშეკავებული. სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას, კანდიდატი გამოირჩეოდა ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარით. იგი ანვითარებდა სამართლებრივ და დასაბუთებულ მსჯელობას. თუმცა მის მიერ ძალიან დაბალ ტონალობაში საუბარი ქმნიდა გარკვეულ დისკომფორტს.

ამირან ძაბუნაძის მიერ სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის 10 წელზე მეტი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება. კანდიდატი ამჟამად არის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე / ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის განჩინება, საქმე N28/6818-16. დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების აღიარება.) შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათლად განმარტავს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. მასში თანმიმდევრულად არის განხილული როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საკითხები. ტექსტი აგებულია გამართულად და მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელია. გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომებიც არ გამოვლენილა.

ამირან ძაბუნაძის ზეპირი კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მას აქვს ვერბალური კომუნიკაციის დამაკმაყოფილებელი უნარი და გამოირჩევა სხვისი აზრის მოსმენის თვისებით. შესაბამისად კანდიდატი ახერხებდა საჯარო მოსმენაზე საკუთარი შეხედულებების ნათლად და მკაფიოდ გადმოცემას.



ამირან ძაბუნაძის პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო სხდომის დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით, კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ხაზი გაესვას კანდიდატის შრომისმოყვარეობას, მიზანდასახულობას, გულმოდგინებას, პროდუქტიულობასა და საქმის ჯეროვნად მომზადების, მხარეებთან სათანადო მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარებს. კანდიდატს ასევე აქვს სტრესული სიტუაციის მართვისა და რთულ სიტუაციაში სხვისი დახმარების გარეშე სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. რაც შეეხება სტატისტიკურ მაჩვენებლებს 2018 წლის იანვრიდან - 2021 წლის იანვრის პერიოდის შესწავლით, დგინდება კანდიდატის შრომისმოყვარეობა, რამეთუ ერთობ მაღალია, როგორც საქმეთა განხილვის, ასევე გადაწყვეტილებათა დაწერისა და განხილულ საქმეთა ძალაში დატოვების მაჩვენებელი.

რაც შეეხება კანდიდატის აკადემიურ მიღწევებს, პროფესიულ წვრთნასა და პროფესიულ აქტივობებში, ხაზგასასმელია მისი აქტიურობა პროფესიული ზრდისა და ცოდნის გაღრმავების თვალსაზრისით, რამეთუ მას მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა ხასიათის არაერთ ტრენინგში და შეხვედრაში, რაზეც ზემოთ მაქვს მითითებული. ამირან ძაბუნაძე ამჟამად არ არის დაკავებული სამეცნიერო ან პედაგოგიური საქმიანობით.

#### შეჯამება

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ამირან ძაბუნაძესთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს და კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის გათვალისწინებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. ხსენებული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 94 ქულას. ამდენად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს მოსამართლისათვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

პაატა სილაგაძე

28.11.21

